# საზოგადოების განწყობა საქართველოში

2015 წლის აგვისტოს კვლევის შედეგები ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ

კვლევა დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მიერ

ლორა თორნტონი – NDI საქართველო
კობა თურმანიძე – CRRC საქართველო

# რატომ ვატარებთ კვლევებს?

- რათა ხელი შევუწყოთ ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე;

- რათა დავეხმაროთ დაინტერესებულ მხარეებს ამოიცნონ და იზრუნონ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე;

  - პოლიტიკური სფეროს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია ეხმარება მათ საქმიანობას და გამოთქვამენ სურვილს, კვლავაც გაგრძელდეს მსგავსი კვლევები;

  - ინკლუზიური პროცესი: კვლევის კითხვარი შემუშავებულ იქნა პარტიებთან, ხელისუფლებასთან და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებთან კონსულტაციის შედეგად.

# ინფორმაცია კვლევის შესახებ

- საველე სამუშაოების თარიღები : 8 აგვისტო – 10 სექტემბერი, 2015
- 4, 448 დასრულებული ინტერვიუ
- წარმომადგენლობითი შერჩევა ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობას შორის, მათ შორის ქალაქის, სოფლის ტიპის დასახლებებში, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში. ამასთან, დამატებით წარმომადგენლობითი შერჩევა თვითმმართველ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, გორი, თელავი, ახალციხე, ოზურგეთი, მცხეთა და გურჯაანის მუნიციპალიტეტი
- საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 3,01%

# მეთოდოლოგია

<u>შერჩევა</u>

- NDI და CRRC კვლევაში იყენებს სტრატიფიცირებული და კლასტერული შერჩევის მეთოდს
  - ✓ **სტრატიფიცირება** – მოსახლეობის დაყოფა შედარებით ჰომოგენურ ჯგუფებად
  - ✓ **კლასტერინგი** – თითოეული ჯგუფიდან (სტრატა) პატარა გეოგრაფიული არეალების შემთხვევითი შერჩევა

- შინამეურნეობის შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით

- რესპონდენტების შერჩევა მოხდა კიშის ცხრილის გამოყენებით

- არ ხდება შემთხვევით შერჩეული შინამეურნეობის ან პიროვნების ჩანაცვლება

- ყველა ინტერვიუ ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, სამიდან რომელიმე ენაზე: ქართული, სომხური და აზერბაიჯანული

# როგორ ტარდება NDI-ის გამოკითხვა?

1

პირველ ეტაპზე, სი-არ-არ-სი შემთხვევითი პრინციპით არჩევს საარჩევნო უბნებს საქართველოში, სადაც იგზავნებიან ინტერვიუერები. მათ გადაეცემათ სამოქმედო ინსტრუქცია: საწყისი წერტილი, მიმართულება, ბიჯის ზომა, კონტაქტების რაოდენობა





2

წინასწარ განსაზღვრული ბიჯის საფუძველზე, ინტერვიუერი შემთხვევით არჩევს შინამეურნეობას, მაგალითად, ყოველ მესამე, მეხუთე, მერვე შინამეურნეობას

3

შინამეურნეობაში რესპონდენტი ირჩევა სპეციალური მეთოდით, ე.წ. კიშის ცხრილით. შერჩეული რესპონდენტის ჩანაცვლება არ შეიძლება






4

ინტერვიუერი კითხვებს შერჩეულ რესპონდენტს უსვამს. ამისთვის იგი პლანშეტურ კომპიუტერს და სპეციალურ პროგრამას იყენებს

5

შეგროვებულ მონაცემებს ინტერვიუერი ინტერნეტის საშუალებით სპეციალურ სერვერზე აგზავნის





6

სი-არ-არ-სი შეგროვებულ მონაცემებს აწესრიგებს და აანალიზებს. მოგვიანებით, შედეგები ფართო საზოგადოებას წარედგინება

**თვლით თუ არა თავს დასაქმებულად?**

იგულისხმება ნახევარი ან სრული განაკვეთის თანამშრომელი, ოფიციალური ან არაოფიციალური თანამშრომელი, თვითდასაქმებული, მთავარია თქვენს საქმიანობას მოჰქონდეს შემოსავალი

**(q83 X დასახლების მიხედვით)**



## ამ ჩამონათვალიდან რა უფრო შეესაბამება თქვენს მდგომარეობას? (q85)

ქუთაისი - 58%-დან, ვინც თავს თვლის დაუსაქმებლად

